საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/148

23 ივნისი, 2022 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“ დოქტორანტ ინგა ქარცივაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 29 სექტემბრის N01-09/452 ბრძანების (ინგა ქარცივაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ), „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (22.06.2022, ოქმი N27–20/2) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (22.06.2022 № 689426) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“** დოქტორანტ **ინგა ქარცივაძის** სადისერტაციო ნაშრომის: **„აჭარაში ინტროდუცირებული ციტრუსოვნების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 8 ივლისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან დოლიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნანა ზარნაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;

გ) ინგა ბოჭოიძე - ქიმიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

დ) ნატალია კუპატაშვილი - ქიმიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ე) ნანა ბარბაქაძე - ქიმიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი;

ვ) მაია ვანიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

ზ) ნატო დიდმანიძე - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი;

თ) რუსლან დავითაძე - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი;

ი) მერაბი არძენაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**